„ დამტკიცებულია”

საქართველოს მთავრობის 201.. წლის .....
№..... დადგენილებით

ამკრძალავი ღონისძიებები
კურორტ სურამის სანიტარიული დაცვის ზონებში

მუხლი 1. ზოგადი მოთხოვნები

1. საქართველოს კანონით „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილებისათვის დგინდება სანიტარიული დაცვის ზონები, სადაც აკრძალულია სამუშაოები, რომლებიც აბინძურებენ ნიადაგს, წყალს, ჰაერს, ზიანს აყენებენ ტყეებსა და სხვა მწვანე ნარგავებს, იწვევენ ეროზიულ პროცესებს, უარყოფითად მოქმედებენ ბუნებრივ სამკურნალო რესურსებზე და კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ მდგომარეობაზე (მუხლი 4.1.)
2. სანიტარიული დაცვის ზონებში დგინდება საქმიანობის მკაცრი რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების მოვლის, დაცვისა და კვლავწარმოებისათვის (მუხლი 4.3.)
3. კანონით გათვალისწინებული სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გარდა სურამის საკურორტო ზონის სანიტარიული დაცვის ზონების პროექტით დასახულია ამკრძალავი ღონისძიებები რომელთა გატარება აუცილებელია რათა დაცული იქნას სამკურნალო მინერალური წყლები და საკურორტო ტერიტორია

მუხლი 2. ამკრძალავი ღონისძიებები სანიტარიული დაცვის I ზონაში

სანიტარიული დაცვის I ზონა (მკაცრი რეჟიმის) მოიცავს ტერიტორიას, სადაც განლაგებულია მინერალური წყლების ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავლები, სამკურნალო ტალახისა და სხვა ბუნებრივი სამკურნალო რესურსების საბადოები, სამკურნალო კარსტული მღვიმეები, პლაჟები - მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების შესაბამისად განსაზღვრული მიმდებარე ტერიტორიებითა და სანაპირო აკვატორიით (მუხლი 7.1.).

ამ ზონაში აიკრძალოს:

1.წყაროების ბუნებრივი გამოსავლების კაპტაჟთან უცხო პირთა მისვლა.

მუხლი 3. ამკრძალავი ღონისძიებები სანიტარიული დაცვის II ზონაში

1. სანიტარიული დაცვის II ზონა (შეზღუდული რეჟიმის) მოიცავს ტერიტორიას სადაც ხდება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჩამოდინება მინერალური წყლებისა და სამკურნალო ტალახის საბადოებისაკენ, აგრეთვე კურორტისა და საკურორტო ადგილის იმ ტერიტორიას, სადაც გაშენებულია საკურორტო ობიექტები, კურორტის ინფრასტრუქტურის სხვა შენობა-ნაგებობები, საკურორტო ბაღ-პარკები და კურორტის მიმდებარე ტყე-პარკები ან დაგეგმილია მათი გაშენება (მუხლი 8.1.).

ამ ზონაში აიკრძალოს:

1. ხელოვნურად გაშენებული ტყის გაჩეხვა
2. ბაიანთხევში და ზინდისში ხელოვნურად გაშენებულ ტყეებში ტერიტორიების გასხვისება;
3. მდ. სურამულაში საკანალიზაციო წყლების ჩაშვება.

მუხლი 4. ამკრძალავი ღონისძიებები სანიტარიული დაცვის III ზონაში

1. სანიტარიული დაცვის III ზონა (სამეთვალყურეო) მოიცავს ჰიდრომინერალური რესურსებისა და გავრცელების არეალს,კურორტის შემომსაზღვრელ ტყის მასივებს, აგრეთვე იმ ტერიტორიებს, რომელთა გამოყენებამ სანიტარიული დაცვის ზონებისათვის დადგენილი წესების დაუცველად შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მინერალური წყლებისა და სამკურნალო ტალახის საბადოების ჰიდროგეოლოგიურ რეჟიმზე და კურორტის სანიტარიულ და ლანდშაფტურ-კლიმატურ პირობებზე (მუხლი 9.1.).

ამ ზონაში აიკრძალოს:

1. მეფრინველეობისა და მეცხოველეობის კომპლექსების, საწარმოებისა და ნაგებობების მშენებლობა თუ არ იქნება გათვალისწინებული ნარჩენების, ჩამონადენი წყლებისა და ფეკალური მასების მოცილება და უტილიზაცია;
2. არსებულ სოფლებში საიმედო იზოლაციის გარეშე ამოსანიჩბ ორმოებზე ტუალეტების მოწყობა;
3. მდ. მდ. ბიჯნისურასა და სურამულას კალაპოტიდან ინერტული მასალის მოპოვება;
4. მდ.მდ. ბიჯნისურასა და სურამულაში თევზის ბრაკონიერული ხერხით დაჭერა.